

განმარტებითი ბარათი
„სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“
საქართველოს კანონის პროექტის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
სამხედრო სარეზერვო სამსახურის ვადის გაზრდა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:
რეზერვში ჩარიცხული პირთა სამხედრო სარეზერვო სამსახურს გავლის ვადის დაზუსტება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:
სარეზერვო შეკრების ვადა – განისაზღვრება წელიწადში არაუმეტეს 45 დღის ვადით, რაც უზრუნველყოფს რეზერვისტთა სათანადო მომზადებას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ფინანსური სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებული არა არის და არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამხედრო სარეზერვო სამსახურისათვის დაგეგმილი ხარჯების გაზრდას. რეზერვში ჩარიცხული პირის კანონპროექტით წარმოდგენილი ვადის ფარგლებში მომზადების დაფინანსება განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან თავდაცვის სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში;

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას;

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
ფინანსურ შედეგებს არ გამოიწვევს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):
კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირეპტივებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირეპტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ მონაწილეობენ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში: ასეთი შეფასებები კანონპროექტს არ გააჩნია.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

პარლამენტის წევრი ზაზა გელაშვილი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

პარლამენტის წევრი ზაზა გელაშვილი